რეგისტრირებულია
სს "საქართველოს სახელმწიფო
ელექტროსისტემის" მიერ
თარიღი 26.08.14 № 1/1479-00

საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ქ. თბილისი

1 სექტემბერი 2014 წ.

პრეამბულა

საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები (შემდგომში „სტანდარტული პირობები") შემუშავებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 22¹–ე მუხლისა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" მე-13 და მე-14 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 1. ზოგადი პირობები

1.1. წინამდებარე სტანდარტული პირობები წარმოადგენს წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ სახელშეკრულებო პირობებს (ტიპიურ სახელშეკრულებო ფორმულარს), რომელსაც ერთი მხარე - სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი" (ტექსტში შემდგომში „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი", რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 7 აგვისტოს, რეესტრის №205170036, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძეს მიერ) უდგენს იმ კვალიფიციურ საწარმოს, ასევე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში (ტექსტში შემდგომ „საწარმო"), რომლებიც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" (შემდგომში „ბაზრის წესები") შესაბამისად, მონაწილეობენ ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში.

1.2. სტანდარტულ პირობებთან საწარმოს მიერთება ხორციელდება სტანდარტული პირობების მე-4 მუხლის შესაბამისად.

1.3. სტანდარტული პირობები აწესრიგებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ საწარმოზე საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირობებსა და წესს, აგრეთვე ამ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.4. სტანდარტული პირობებით ხდება მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის ბაზრის წესებით დადგენილი ნორმების შევსება. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული სტანდარტული პირობებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. სტანდარტულ პირობებში გამოყენებულ ძირითად ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც გათვალისწინებულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გამოცემული (მიღებული) შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 3. სტანდარტული პირობების საგანი

3.1. სტანდარტული პირობების საგანს წარმოადგენს საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვა.

3.2. საწარმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის მის მიერ საანგარიშო პერიოდში შესყიდულ (ფაქტიური საშუალო დანაკარგის გათვალისწინებით) ელექტროენერგიის რაოდენობასა და პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობის შესატყვის ელექტროენერგიას.

3.3. სტანდარტული პირობების შესაბამისად, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ყიდის, ხოლო საწარმო ყიდულობს საბალანსო ელექტროენერგიას და

უზრუნველყოფს მისი ღირებულების სრულ და დროულ ანაზღაურებას, სტანდარტული პირობებით დადგენილი წესითა და პირობებით.

მუხლი 4. სტანდარტულ პირობებთან მიერთება

4.1. საწარმო ამ ხელშეკრულების მხარედ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ:

4.1.1. იგი წარმოადგენს განაწილების ლიცენზიატს, პირდაპირ მომხმარებელს, ექსპორტიორს, ელექტროენერგიის მწარმოებელს (ელექტროენერგიის საერთო სასადგურო დანახარჯისათვის ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში), დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს (ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში);

4.1.2. საანგარიშო პერიოდში მიწოდების პუნქტებში მიღებული აქვს საბალანსო ელექტროენერგია განაწილების, პირდაპირი მოხმარების (ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებლის შემთხვევაში - საერთო სასადგურო დანახარჯის უზრუნველსაყოფად), ექსპორტის ან ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნებისათვის.

4.2. სტანდარტულ პირობებთან მიერთებისთანავე საწარმო ხდება სტანდარტული პირობებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი.

მუხლი 5. საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობა, ღირებულება და ფასი

5.1. საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობასა და ღირებულებას განსაზღვრავს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ბაზრის წესების შესაბამისად.

5.2. საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება ხდება ბაზრის წესების შესაბამისად.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1. საწარმოზე გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობა აისახება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და საწარმოს შორის გაფორმებულ ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტში. ამასთან, თუ ბაზრის წესების შესაბამისად გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების ან სისტემათაშორისი ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექტროენერგიის შემაჯამებელ აღრიცხვის აქტებში შეტანილი მონაცემების ცვლილებები იწვევს საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობის კორექტირებას, დგება ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების კორექტირებული აქტი.

6.2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი საწარმოს სათანადოდ გაფორმებულ და დამოწმებულ ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტის 4 ეგზემპლარს ხელმოსაწერად წარუდგენს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 12 კალენდარული დღისა. საწარმო ვალდებულია ხელმოწერილი აქტის 2 ეგზემპლარი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს დაუბრუნოს მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

6.3. ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტში წარდგენილი მონაცემების საფუძველზე (მიუხედავად იმისა, დადასტურებულია თუ არა იგი საწარმოს მიერ), ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი გამოწერს და საწარმოს წარუდგენს შესაბამის საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას (ანგარიშ-ფაქტურას) საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულებაზე. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და წარდგენის პირობები და წესი რეგულირდება საგადასახადო კანონმდებლობით;

6.4. საწარმო ვალდებულია, არაუგვიანეს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 25 კალენდარული დღისა, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში ან სხვა შესაბამის დოკუმენტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, პირდაპირ აუნაზღაუროს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მითითებული თანხა. ვალდებულება შესრულებულად ითვლება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე საბალანსო ელექტროენერგიის სრული ღირებულების ჩარიცხვის დღეს. მიუხედავად იმისა, ეთანხმება

თუ არა საწარმო ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტს ან/და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) მონაცემებს, საწარმომ უნდა გადარიცხოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ანგარიშზე საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში (ანგარიშ-ფაქტურაში) აღნიშნული თანხა.

6.5. საბალანსო ელექტროენერგიის საფასურის კორექტირების შემთხვევაში, თუ შედეგად:

6.5.1. იზრდება საბალანსო ელექტროენერგიის საფასური, საწარმო ვალდებულია მაკორექტირებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერის თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 25 კალენდარული დღისა აუნაზღაუროს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს კორექტირების შედეგად დამატებით გადასახდელი თანხა;

6.5.2. მცირდება საბალანსო ელექტროენერგიის საფასური, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ვალდებულია მაკორექტირებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერის თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 28 კალენდარული დღისა აუნაზღაუროს საწარმოს კორექტირების შედეგად საწარმოს სასარგებლოდ მეტობით რიცხული თანხა.

6.6. მხარეთა შორის ანგარიშსწორება, როგორც წესი, ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თუ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მხრიდან არ იქნება წერილობით მოთხოვნილი ანგარიშსწორების სხვა მიღებული წესის გამოყენება.

6.7. თუ საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულება ან/და კორექტირების შედეგად დამატებით გადასახდელი თანხა საწარმოს მიერ არ იქნა დაფარული ან არასრულად იქნა დაფარული სტანდარტული პირობებით განსაზღვრულ ვადაში, გადაუხდელ თანხას გადახდისათვის დადგენილი თარიღიდან დაერიცხება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,06 %-იანი განაკვეთით, რომლის დარიცხვა დაიწყება საანგარიშო პერიოდის ან მაკორექტირებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერის თვის დასრულებიდან 26-ე კალენდარულ დღეს, ხოლო პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება იმ დღის მომდევნო დღეს (მომდევნო დღის

ჩაუთვლელად), როდესაც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხება გადაუხდელი თანხა.

6.8. პირგასამტეხლოს გაანგარიშება ხდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე, რის შესახებაც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი წერილს უგზავნის საწარმოს თანდართული გაანგარიშებით. დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება საწარმოს წარმოეშობა წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ.

6.9. სტანდარტული პირობების საფუძველზე საწარმოს მიერ ასანაზღაურებელი თანხა არ ექვემდებარება საპირისპირო მოთხოვნებში ან/და სხვაგვარად ჩათვლასა თუ გაქვითვას, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. სტანდარტული პირობების საფუძველზე საწარმოს მიერ ასანაზღაურებელი თანხის გადახდის ვალდებულების სხვა (მესამე) პირისათვის გადაცემა დაუშვებელია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

6.10. სტანდარტული პირობების შესაბამისად, საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულების ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახადის, გადასახდელის ან დაკისრებული პირგასამტეხლოს არასრული გადახდის ან/და გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი უფლებამოსილია მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის უფლებით, მოითხოვოს საწარმოსათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვა ან შეწყვეტა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. გადახდის გარანტია

7.1. საწარმოს მიერ სტანდარტული პირობების 6.4 და 6.5.1 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისას, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი უფლებამოსილია წერილობით მოსთხოვოს საწარმოს საბანკო გარანტიის წარმოდგენა, როგორც მოთხოვნის თარიღისათვის არსებულ, ასევე მომავალ საანგარიშო პერიოდში (პერიოდებში) მოსალოდნელ სავარაუდო გადასახდელ თანხაზე. საბანკო

გარანტიით უზრუნველყოფილი თანხა არ შეიძლება იყოს 6.4 და 6.5.1 მუხლების შესაბამისად გადაუხდელ თანხაზე ნაკლები.

7.2. საწარმოს მიერ საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობა შესაძლოა გახდეს საწარმოს მიმართ სტანდარტული პირობების 6.10 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებების გატარების საფუძველი. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდების შეწყვეტის ან შეზღუდვის თაობაზე შეტყობინებას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უგზავნის ბაზრის წესების შესაბამისად.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. სტანდარტულ პირობებში ფორს-მაჟორი და ფორს-მაჟორული მოვლენა რომელიმე მხარისათვის ნიშნავს ისეთ მოვლენას ან გარემოებას, რომელსაც მოცემული მხარე სათანადოდ ვერ აკონტროლებს, რომლის თავიდან აცილება, შეჩერება ან გამოსწორება არ ხერხდება, მიუხედავად მოცემული მხარის ყველანაირი ძალისხმევისა, და რომლის შედეგადაც ან რომლის გამოც რომელიმე მხარე ვერ ასრულებს სტანდარტულ პირობებიდან გამომდინარე თავის მოვალეობებს. ფორს-მაჟორულ მოვლენაში იგულისხმება (მაგრამ არა მხოლოდ):

8.1.1. ომი, საომარი მოქმედებები, ბლოკადა, მობილიზაცია, რეკვიზიცია ან ემბარგო;

8.1.2. აჯანყება, რევოლუცია, ამბოხება, სამოქალაქო ომი, საზოგადო წესრიგის დარღვევა, სამოქალაქო არეულობა, საბოტაჟი და ტერორისტული აქტები;

8.1.3. ელვა, ხანძარი, აფეთქება, შტორმი, ქარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი და სხვა სტიქიური მოვლენები;

8.2. არც ერთ მხარეს არ მოეთხოვება სტანდარტული პირობების შესრულება და არ ჩაეთვლება ვალდებულების შეუსრულებლობად, თუ ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზი ფორს-მაჟორული მოვლენაა, იმ პირობით, რომ ერთ-ერთი მხარის მიერ სახსრების ნაკლებობა არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულ მოვლენად.

8.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიან შეუსრულებლობაზე

მხოლოდ ამ მუხლის 8.1 პუნქტით გათვალისწინებული მოვლენების მოქმედების პერიოდში. ასეთ შემთხვევებში, სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიწევს იმ პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს ფორს-მაჟორული მოვლენები.

8.4. ფორს-მაჟორული მოვლენის შემთხვევაში მხარემ, რომელსაც იგი უშუალოდ ეხება, 5 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამ მოვლენის შესახებ, შესაბამისი ფაქტების და მონაცემების, სავარაუდო შედეგებისა და მისი ხანგრძლივობის მითითებით, ხოლო მომდევნო ერთი თვის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს ფორს-მაჟორული მოვლენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი წესით გაცემული ცნობა).

მუხლი 9. დავების გადაწყვეტა

9.1. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი და საწარმო განახორციელებენ ყველა შესაძლო ღონისძიებას, რათა მორიგებით დაასრულონ ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას სტანდარტულ პირობებთან (მის განმარტებასთან, გამოყენებასთან ან/და შესრულებასთან) დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, სადავო საკითხი წარედგინება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ან საქართველოს ფარგლებში მოქმედ იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქცია ვრცელდება სტანდარტული პირობების შესრულების ადგილზე.

9.3. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს უფლება აქვს მოითხოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად."

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. თუ სტანდარტული პირობების რომელიმე დებულება ან მისი ნაწილი ან რომელიმე მხარის მიმართ მისი გამოყენება არ არის კანონიერი ან მისი განხორციელება შეუძლებელია, მაშინ სტანდარტული პირობების ყველა სხვა დებულება, შეძლებისდაგვარად, წაიკითხება როგორც მოქმედი და განხორციელებადი ან იმგვარად, რომ ისინი კვლავაც სრულ ძალაში დარჩნენ, ხოლო უმოქმედო და განუხორციელებელი ნაწილი უნდა გამოეყოს სტანდარტულ პირობებს ისე, რომ რაც შეიძლება სრულად იქნას შენარჩუნებული სტანდარტული პირობების სხვა დებულებების კანონიერება და მათი განხორციელების შესაძლებლობა.

10.2. სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისათვის და მათი შესაბამისი უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3. სტანდარტული პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.4. ხელშეკრულების შესრულების ადგილია ქ. თბილისი.

10.5. სტანდარტული პირობები ძალაში შედის 2014 წლის 1 სექტემბრიდან და მოქმედებს უვადოდ.

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“

მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი
თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ. №2.

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“,
ვერის ფილიალი

ბანკის კოდი TBCBGE22

ა/ა GE76TB7505936030100001

საიდენტიფიკაციო კოდი 205170036

ESCO
ესკო
205170036

ვახტანგ ამბროკაძე

გენერალური დირექტორი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 30/5

2014 წლის 14 აგვისტო ქ. თბილისი

საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და 22[1] მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს თანდართული ,,საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“.
2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (ნ. ლაშხია), დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება კომისიის შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას და კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org).
5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტს (ნ. ბერიძე).

თავმჯდომარე	ი. მილორავა
კომისიის წევრი	მ. ნადირაძე
კომისიის წევრი	გ. შონია

რეგისტრირებულია
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ
თარიღი 16.08.16 № 1/1479-001

218/02-14'

საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების

ცვლილება №1

ქ.თბილისი 11 აგვისტო, 2016 წელი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 24 მაისის №36/31 გადაწვეტილების საფუძველზე, 2014 წლის 1 სექტემბრის (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის რეგისტრაციის № N1/1479-00 თარიღი 26.08.2014) "საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში" განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. ხელშეკრულების 6.4 პუქნტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.4[1]. პუნქტი:
"6.4[1]. მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა საწარმო ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტს ან/და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) მონაცემებს, საწარმომ უნდა გადარიცხოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ანგარიშზე საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში (ანგარიშ-ფაქტურაში) აღნიშნული თანხა. ვალდებულება სრულად შესრულებულად ითვლება, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე საბალანსო ელექტროენერგიის სრული ღირებულების ჩარიცხვის დღეს. საწარმო ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების დროს, საგადახდო დავალებაში მიუთითოს გადახდის დანიშნულება (დავალიანების დასახელება, რომლის დაფარვაც ხდება).
იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალებაში მითითებული არ იქნება გადახდის დანიშნულება და გადახდილი თანხა არ იქნება საკმარისი ბაზრის ოპერატორის წინაშე არსებული ყველა ვალის დასაფარად, ვალის დაფარვა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის პირობების შესაბამისად, ხოლო თანაბარი სიმძიმის მოთხოვნების შემთხვევაში, ბაზრის ოპერატორი გადახდილი თანხის გადანაწილებას მოახდენს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დავალიანებებს შორის პროპორციულად."

2. წინამდებარე ცვლილება ძალაში შედის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებისა და "ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით" დადგენილი წესით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან რეგისტრაციისთანავე და მოქმედებს უვადოდ.

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის

კომერციული ოპერატორი"

მისამართი: საქართველო, თბილისი,

ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ. №2

საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი TBCBGE22

ა/ა GE76TB7505936030100001

საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

ESCO
ესკო

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 36/31

2016 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

„საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და 22[1] მუხლის პირველი პუნქტისა და კომისიის 2003 წლის 7 აგვისტოს № 12 დადგენილებით დამტკიცებული „ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების“ 29–ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/5 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

„6.4. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.4[1]. პუნქტი:

6.4[1]. მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა საწარმო ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტს ან/და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) მონაცემებს, საწარმომ უნდა გადარიცხოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ანგარიშზე საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში (ანგარიშ-ფაქტურაში) აღნიშნული თანხა. ვალდებულება სრულად შესრულებულად ითვლება, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის საბანკო ანგარიშზე საბალანსო ელექტროენერგიის სრული ღირებულების ჩარიცხვის დღეს. საწარმო ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების დროს, საგადახდო დავალებაში მიუთითოს გადახდის დანიშნულება (დავალიანების დასახელება, რომლის დაფარვაც ხდება).

იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალებაში მითითებული არ იქნება გადახდის დანიშნულება და გადახდილი თანხა არ იქნება საკმარისი ბაზრის

ოპერატორის წინაშე არსებული ყველა ვალის დასაფარად. ვალის დაფარვა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის პირობების შესაბამისად, ხოლო თანაბარი სიმძიმის მოთხოვნების შემთხვევაში, ბაზრის ოპერატორი გადახდილი თანხის გადანაწილებას მოახდენს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის საფასურის დავალიანებებს შორის პროპორციულად.".

2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (ნ. ლაშხია), დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება კომისიის შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას და კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org).

5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტს (ნ. ბერიძე).

თავმჯდომარე	ი. მილორავა
კომისიის წევრი	გ. შონია
კომისიის წევრი	გ. ფანგანი

218/02-14 II

რეგისტრირებულია
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ
თარიღი 09.08.18 № 1/1479-002

საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების
ცვლილება N2

ქ. თბილისი 6 აგვისტო, 2018 წელი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 26 ივლისის N61/16 გადაწყვეტილების საფუძველზე, 2014 წლის 1 სექტემბრის (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის რეგისტრაციის N1/1479-00, რეგისტრაციის თარიღი: 26.08.2014) "საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში" განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1.1 წინამდებარე სტანდარტული პირობები წარმოადგენს წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ სახელშეკრულებო პირობებს (ტიპიურ სახელშეკრულებო ფორმულარს), რომელსაც ერთი მხარე - სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი" (ტექსტში შემდგომში „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი", რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 7 აგვისტოს, რეესტრის N205170036, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძეს მიერ) უდგენს იმ კვალიფიციურ საწარმოს, ასევე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში (ტექსტში შემდგომ „საწარმო"), რომლებიც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" (შემდგომში „ბაზრის წესები") შესაბამისად, მონაწილეობენ ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში.";

2. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3.2 საწარმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის მის მიერ საანგარიშო პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობასა და პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობის შესატყვის ელექტროენერგიას.";

3. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტი შემდეგ დაემატოს 3.2[1] პუნქტი შემდეგი რედაქციით:
   „3.2[1]. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი:

ა) გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში "ბაზრის წესების" 23-ე მუხლის 3[1] პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ გადამცემ ქსელში დანაკარგების შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობას.";

ბ) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში „ბაზრის წესების" 23-ე მუხლის 3[1] პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგის შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობასა და აღნიშნული მიზნებისათვის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობის შესატყვის ელექტროენერგიას.";

4. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 და 4.1.2 ქვეპუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4.1.1. იგი წარმოადგენს განაწილების ლიცენზიატს, პირდაპირ მომხმარებელს, ექსპორტიორს, ელექტროენერგიის მწარმოებელს (ელექტროენერგიის საერთო სასადგურო დანახარჯისათვის ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში), დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს (ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში).
4.1.2. საანგარიშო პერიოდში მიწოდების პუნქტებში მიღებული აქვს საბალანსო ელექტროენერგია განაწილების, პირდაპირი მოხმარების (ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებლის შემთხვევაში - საერთო სასადგურო დანახარჯის უზრუნველსაყოფად), ექსპორტის, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნებისათვის.";

5. ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 და 6.2 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6.1. საწარმოზე გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობა აისახება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და საწარმოს შორის მატერიალური ან ელექტრონული ფორმით გაფორმებულ ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტში. ამასთან, თუ „ბაზრის წესების" შესაბამისად გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების ან სისტემათაშორისო ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექროენერგიის შემაჯამებელ აღრიცხვის აქტებში შეტანილი მონაცემების ცვლილებები იწვევს საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობის კორექტირებას, დგება ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების კორექტირებული აქტი მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

6.2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი საწარმოს სათანადოდ გაფორმებულ და დამოწმებულ ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტის 4 ეგზემპლარს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით წარუდგენს ხელმოსაწერად საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 12 კალენდარული დღისა. საწარმო ვალდებულია ხელმოწერილი აქტის 2 ეგზემპლარი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით დაუბრუნოს მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში."

6. ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.10 პუნქტის შემდეგ დაემატოს 6.11 პუნქტი შემდეგი რედაქციით:
„6.11. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 და 6.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიღება-ჩაბარების აქტის ელექტრონული ფორმით შედგენა და გაფორმება ხორციელდება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ვებ-გვერდზე (www.esco.ge) არსებული ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ელექტრონული ფორმით გაფორმებულ და ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს აქვს მატერიალური ფორმით გაფორმებული და ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის თანაბარი იურიდიული ძალა.".

7. წინამდებარე ცვლილება ძალაში შედის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან რეგისტრაციისთანავე და მოქმედებს უვადოდ.

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი"
მისამართი: საქართველო, თბილისი,
ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ. #2
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE76TB7505936030100001
საიდენტიფიკაციო კოდი: 205170036

ვახტანგ ამბოკაძე
გენერალური დირექტორი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №61/16

2018 წლის 26 ივლისი ქ. თბილისი

„საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და 22[1] მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 14 აგვისტოს №30/5 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1. წინამდებარე სტანდარტული პირობები წარმოადგენს წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ სახელშეკრულებო პირობებს (ტიპიურ სახელშეკრულებო ფორმულარს), რომელსაც ერთი მხარე - სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (ტექსტში შემდგომში „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი“, რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 7 აგვისტოს, რეესტრის N205170036, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძეს მიერ) უდგენს იმ კვალიფიციურ საწარმოს, ასევე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში (ტექსტში შემდგომ „საწარმო“), რომლებიც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“

(შემდგომში „ბაზრის წესები“) შესაბამისად, მონაწილეობენ ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში.“

ბ) 3.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.2 საწარმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის მის მიერ საანგარიშო პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობასა და პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობის შესატყვის ელექტროენერგიას.“;

გ) 3.2. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.2[1] პუნქტი:

3.2[1] დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი:

ა) გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში “ბაზრის წესების“ 23-ე მუხლის 3[1] პუნქტის საფუძველზე განსაზღვრულ გადამცემ ქსელში დანაკარგების შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობას..“;

ბ) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისაგან სტანდარტული პირობებით შეისყიდის საანგარიშო პერიოდში „ბაზრის წესების“ 23-ე მუხლის 3[1] პუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგის შესაბამისი შესასყიდი ელექტროენერგიის რაოდენობასა და აღნიშნული მიზნებისათვის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის სხვაობის შესატყვის ელექტროენერგიას.

დ) 4.1.1-4.1.2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1.1. იგი წარმოადგენს განაწილების ლიცენზიატს, პირდაპირ მომხმარებელს, ექსპორტიორს, ელექტროენერგიის მწარმოებელს (ელექტროენერგიის საერთო სასადგურო დანახარჯისათვის ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში), დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს (ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ნაწილში).

4.1.2. საანგარიშო პერიოდში მიწოდების პუნქტებში მიღებული აქვს საბალანსო ელექტროენერგია განაწილების, პირდაპირი მოხმარების (ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მწარმოებლის შემთხვევაში -

საერთო სასადგურო დანახარჯის უზრუნველსაყოფად), ექსპორტის, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგებისა და გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნებისათვის.";

ე) 6.1-6.2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.1. საწარმოზე გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობა აისახება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორსა და საწარმოს შორის მატერიალური ან ელექტრონული ფორმით გაფორმებულ ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტში. ამასთან, თუ ბაზრის წესების შესაბამისად გამომუშავებული, მიწოდებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების ან სისტემათაშორისო ხაზით (ხაზებით) მიწოდებული და მიღებული ელექროენერგიის შემაჯამებელ აღრიცხვის აქტებში შეტანილი მონაცემების ცვლილებების იწვევს საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობის კორექტირებას, დგება ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების კორექტირებული აქტი მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

6.2. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი საწარმოს სათანადოდ გაფორმებულ და დამოწმებულ ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტის 4 ეგზემპლარს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით წარუდგენს ხელმოსაწერად საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 12 კალენდარული დღისა. საწარმო ვალდებულია ხელმოწერილი აქტის 2 ეგზემპლარი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით დაუბრუნოს მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში."

ვ) 6.10. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.11 პუნქტი:

„6.11. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 და 6.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიღების-ჩაბარების აქტის ელექტრონული ფორმით შედგენა და გაფორმება ხორციელდება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის ვებ-გვერდზე (www.esco.ge) არსებული ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ელექტრონული ფორმით გაფორმებულ და ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს აქვს მატერიალური ფორმით გაფორმებული და ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის თანაბარი იურდიული ძალა.".

2. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

4. დაევალოს კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება კომისიის შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილას და კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org).

5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტს.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი